21
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 15 მარტი, 1921 წ.

№ 11 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 11

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი

მოუწოდებს უცხოელთა წარმომადგენლებს და კონსულებს გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ რწმუნების სიგელებითა და საჭირო დოკუმენტებით და წარმოადგინონ

სრული სია თავის თანამშრომლებისა.

რეგისტრაცია იწარმოებს გარეშე საქმეთა კომისარიატის ბინაზე (ერმოლოვის ქუჩა № 9) 14 მარტიდან ყოველ დღე 12—2 საათამდე.

ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს და პროლეტარებს

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა შემდეგი მოწოდებით ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს და პროლეტარებს:

საქართველოს მუშათა და გლეხთა აჯანყება მოღალატე მენშევიკურ ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ ბოლოს გამარჯვებით დასრულდა. ამ წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში აჯანყებულთა ძლევა-მოსილმა შეტევამ, მუშათა და გლეხთა ლაშქარის დახმარებით, სოციალ-მატყუარების საზიზღარი მთავრობა, ჟორდანია-რამიშვილის მეთაურობით, დაამხო, და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ძალა-უფლება. საქართველოში მომხდარ გადატრიალების ამბავმა მეხივით თავზარი დასცა ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მტაცებელთ და მძარცველთ, რომელთათვისაც მენშევიკების საქართველო მთავრესი დასაყრდენობი ბაზა იყო ახლო აღმოსავლეთში მშრომელთა მასების მტაცებელ ექსპლოატაციისათვის. ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების იმპერიალისტური მტაცებელნი და მძარცველნი და მასთან ერთად იმათი საიდუმლო აგენტები, მე-2 ვითელ ინტერნაციონალის გაკოტრებული წინამძღოლები, ახმაურდნენ ჩვეულებრივ და, ყველა საშუალებას მიმართავენ, საქართველოში სოციალისტურ რევოლიუციის სახელის გასატეხად. სოციალიზმის რენეგატები, მუშათა კლასის მოღალატენი ბ. ბ. კაუცკები, რენოდელები, ვანდერველდები, მაკდონალდები და კომპანია, რომელნიც იმპერიალისტურ ანტანტის სახელმწიფოების დავალებით ამას წინათ მიბრძანდნენ საქართველოში მენშევიკებთან და რომელთაც აკურთხეს ყველა სისხლიანი ბოროტმოქმედება ამ უკანასკნელთა, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ჩადენილი, ეხლა ისინი ცდილობენ ევროპის და ამერიკის პროლეტარები დაარწმუნონ იმაში, ვითომც საქართველოში გადატრიალება მოხდა მოსკოველ დამპყრობელთა მიერ, რომ პატარა თავისუფალ ხალხს ყელში ხელი წაუჭირეს და სხვა. საკითხავია, სად იყვნენ ეს ბატონები მაშინ, როდესაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა აღრჩობდა საქართველოს მუშებსა და გლეხებს, ან როდესაც იგი სისხლში აკურავებდა ნაციონალურ უმცირესობებს?!

რატომ ბ-ნები კაუცკი, რენოდელი, ვანდერველდე და კამპანია ჩუმად იყვნენ მაშინ, როდესაც ქართველი მენშევიკები, კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან და მტაცებელ იმპერიალისტებთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი, მოქმედებდნენ მუშათა და გლეხთა რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო აღალდნენ მაშინ, როდესაც მენშევიკების მოძალადეებს და უზურპატორებს ლაგამი ამოსდეს და საქართველოს ერებმა თავისუფლად ამოისუნთქეს! რატომ აქ ოელანდათ იმათ მოსკოვის დამპყრობელნი და არა დაჩაგრული მუშები და გლეხები და აგრეთვე მენშევიკ შოვინისტებისაგან დამონავებული საქართველოს წვრილი ერები, რომელნიც აღსდგნენ თავიანთ უზურპატორების წინააღმდეგ. აი სადამდის მიდის იმათი მოღალატეობა და თავხედი პირმოთნეობა.

წითელი ჯარი მოვიდა საქართველოში აჯანყებულთა და მათ რევოლიუციონურ კომიტეტის მოწოდებით და, ეს რომ არ მომხდარიყო, აჯანყებულნი მოსპობილი იქნებოდნენ და კვლავ აღსდგებოდა ბურჟუაზიის დიქტატურა ქართველ მენშევიკების სახით. აი, რა ადარდებს ბ.ბ. კაუცკებსა და კამპანიას.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების მშრომელთა მასის სახელით საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ყველა ქვეყნის მუშათა წინაშე აცხადებს: ქართველი ხალხი არავის დაუპყრვია, არამედ მენშევიკების და ბურჟუაზიულ უზურპატორების უღლისაგან გაანთავისუფლებს იგი. საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ყველა აშკარა და ფარულ საზიზღარ ინსინუაციების და ცილის წამებაზე საუკეთესო პასუხია ის ფაქტი, რომ საბჭოთა ძალა უფლების განმტკიცება და წითელი ლაშქრის მოსვლა ყველგან და ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს, საქართველოს გლეხებსა და მუშებში და აგრეთვე ყველა ნაციონალურ უმცირესობათა შორის. ყურადღების ღირსია ამასთანავე ის გარემოება, რომ ყველა მემარცხენე პარტია და ჯგუფი: როგორც სოციალისტ-რევოლიუციონერები, მემარცხენე ფედერალისტები, მემარცხენე სინდიკალისტ კომუნისტები (მაშვრალები), მენშევიკურ მთავრობის ჩამოგდების პირველივე დღიდანვე, სრულიად გულწრფელად გადმოვიდნენ საბჭოთა ძალაუფლების მხარეზე, დაგმეს რა უზურპატორი მენშევიკები. ამნაირად დიდი უმრავლესობა ქართველი ხალხისა, კომუნისტურ პარტიის მეთაურობით და ყველა მემარცხენე სოციალისტურ პარტიის ჯგუფის მონაწილეობით, ერთსულოვნობით არის გამოსული მენშევიკურ მთავრობის დაცემის და საქართველოში საბჭოთა წყობილების განმტკიცების გამო, ე. ი. პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხთა დიქტატურით. მენშევიკებმა უსირცხვილოთ მოატყუეს, როგორც მუშები, აგრეთვე გლეხები და, თავისი უკიდურესი შოვინისტური და გაბატონებულ სახელმწიფოს პოლიტიკით, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს ყველა პატარა ერები, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხანია სცხოვრობდნენ.

იმათი პოლიტიკა სრულიად გაკოტრდა და ამიტომ მენშევიკების მთავრობის დაცემა და აგრეთვე საბჭოთა ძალა უფლების განმტკიცება აუცილებელი იყო. საქართველოში მენშევიკურ ძალა-უფლების დამყარების ცდის შემდეგ მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლება შეიძლება განმტკიცდეს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია კრუზენშტერნის ქ. № 4.

— საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტი—პლეხანოვის ქ. 96.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

— 1 ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ 136, თეატრი „ნაძალადევი".

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

მოწოდება ყველა ქვეყნების მშრომელთადმი.

ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტმა მთელი ქვეყნის მშრომელთ მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„ძმებო და ამხანაგებო! რუსეთის რევოლიუციამ ჩვენშიაც ჩამოაგდო სისხლიანი ბატონობა ცარიზმისა, მაგრამ ცარიზმის ალაგზე დამყარდა ბრძანებლობა ბურჟუაზიულ დემოკრატიის და რევოლიუციის გამყიდველებისა. ბურჟუაზიული რეაქცია მართავდა აქ ნადიმებს წვრილ ბურჟუაზიულ ლაქიების წყალობით რომლებიც აწარმოებდენ განუწყვეტლივ ბრძოლას და ინტრიგებს პროლეტარულ რუსეთის წინააღმდეგ, მხეცურად ექცეოდენ საქართველოს მშრომელ მასებს, რადგანაც უკანასკნელნი რუსეთის პროლეტარიატს და ოქტომბრის რევოლიუციას სიმპატიურად უცქეროდნენ. მუშათა კლასი იმყოფებოდა კაპიტალისტებისა და სპეკულიანტების უღელ-ქვეშ, რომლებიც მოაწყდენ საქართველოს ყოველ კუთხიდან ქართველ მენშევიკების მეფობის დროს.

გლეხობამ არ მიიღო არც მიწა და არც საზოგადოთ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეღირსა, მეფის ბოქაულების მათრახი უწინდებურათ ლახავდა მიწის მშრომელებს, თითქმის ყველგან მთელ საქართველოში გლეხთა აჯანყებას ქართველ მენშევიკების მთავრობა აქრობდა ცეცხლითა და მახვილით. ელემენტარული მოთხოვნილება თავისუფლებისა სხვა და სხვა ერისაგან:— ოსებისა, სომეხთა, აჭარლებისა ყოველთვის იწვევდა დამსჯელ ექსპედიციებს, გადაწვას, დახვრეტას და საზოგადოთ სამარცხვინო სასჯელს, მაგალითად, ძალდატანებით გადასახლება სახელმწიფოდან მრავალი ათისა და ასის სოფლის მცხოვრებლებისა. სამი წელიწადი გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა სამი წელიწადი გმინავდა ბურჟუაზიის მსახურთა ფეხ-ქვეშ მუშა და გლეხი საქართველოსი. სამ წელიწადს გაგრძელდა ჩაგვრა მთელი ქვეყნის სხვა და სხვა ერთა. კონტრ-რევოლიუციონური და მტაცებლობითი ხასიათი მენშევიკების მთავრობისა ნათლად აღმოჩნდა, როდესაც იგი თავს დაესხა სომხეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ტერორის რეჟიმი მეფობდა არა მარტო ნეიტრალურ ზონაში სომხეთ-საქართველოს შორის, არამედ სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის უდავო ადგილებში. მაგრამ ამ ჟამად ბოროტი ავანტიურა მენშევიკებისა დასრულდა მათი სამარცხვინო გაკოტრებით. შეურაცყოფილი, აოხრებული და დაჩაგრული მშრომელი ხალხი აღსდგა და მიმართა თავის ძველ უფლებას,—რევოლიუციას. პირველად აჯანყდენ სომხისა და რუსის მცხოვრებნი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრისა. აჯანყებულებს მაშინვე მიემხრენ თათარი და ქართველი მცხოვრებნი აღნიშნულ მაზრისა და ძლიერი ტალღა აჯანყებისა გაექანა თბილისისკენ—ამიერ კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ბუდისაკენ, საიდანაც ძლიერ ჰქონდენ არა მარტო საქართველოს მშრომელთ, არამედ მეზობელ რესპუბლიკებს. წითელი არმია ამ რესპუბლიკისა დაეხმარა აჯანყებულებს, მხოლოდ მათი თხოვნითა და მოწვევით. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, დაარსებული აჯანყების დროს სომეხ, თათარ, ქართველ, ოსების და აფხაზების მშრომელ ხალხთა წინამძღოლად და ბრძოლის დასამთავრებლად, ამტკიცებს მთელი ქვეყნის წინაშე და კაცობრიობის ისტორიაში არა მარტო დიდებულ სამხედრო გმირობას, წითელ მუშა-გლეხის ლაშქრისას, არამედ უმაღლეს დისციპლინას და შეგნებულობის მაღალ შეგნებას დაჩაგრულ ერთა მხსნელისას.

მთელი მსოფლიოს ძმებო მუშებო! საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოიშორა ექსპლოატატორთა უღელი და შეუდგა ახალ ცხოვრების შენებას მშრომელთა დიქტატურის საძირკველზე. ნუ გჯერათ ცრუ და ცილი წამებით სავსე ლაპარაკი ყვითელ სოციალისტების დამხობილ მთავრობისა და მათი დამქაშების ევროპაში, რომლებიც სცდილობენ ისე დასახონ საქართველოში მომხდარი რევოლიუცია, ვითომც დაპყრობა. სწორედ ეხლა პირველად ხდება საქართველო ნამდვილი თავისუფალი და დამოუკიდებელი და უბრუნდება დიდი ხნის რყევის შემდეგ კონტრ რევოლიუციიდან რევოლიუციონურ ოჯახს.

ამხანაგებო და ძმებო! ჩვენ გაგვინათა პროლეტარულ რევოლიუციის მზემ, ჩვენ გაგვათბო მისმა ცხოველმყოფელმა შუქებმა. ჩვენ ფეხი შევდგით ისტორიის ახალ საფეხურზე.

გაუმარჯოს პროლეტარულ მსოფლიო რევოლიუციას. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს— შრომისა და ერების განმათავისუფლებელს!

რევოლიუციონური კომიტეტი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა— **ცხაკაია. მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, ომარ-ჰაჯი, ნაზარეტიანი, ელიახაბედაშვილი, გეგეჭკორი, ქურქველია, თოდრია, დუმბაძე**

დაგვიანებული, მაგრამ მაინც გასახარი ნაბიჯი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება რადიო-დეპეშა საქართველოს ყოფილ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის—გ. ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი საქართველოს მთავრობის—რევკომის—სახელზე როგორც მკითხველი დაინახავს, ამ რადიო-დეპეშაში გ. ლორთქიფანიძე თავისი „მთავრობის" სახელით წინადადებას იძლევა შეჩერებულ იქნეს სამხედრო მოქმედებანი ფრონტებზე და გაიმართოს მოლაპარაკება ქ. ქუთაისში, სადაც ჩამოვლენ მათი წარმომადგენელნი, თუ კი საქართველოს საბჭოთა მთავრობა ამაზე თანხმობას განაცხადებს ამ რიგათ, ის ნაბიჯი, რომელიც გრ. ლორთქიფანიძის მთავრობამ უნდა გადაედგა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წითელი ჯარი თბილისს უახლოვდებოდა, რათა აცილებულ ყოფილიყო უაზრო ზედმეტი სისხლის ღვრა, ხალხის ქონების და სიმდიდრის გაფლანგვა-განადგურება, რადგან ყველასათვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ მენშევიკური მთავრობის ბოლო დადგა—აი ეს ნაბიჯი გადადგა მენშევიკების ყოფილმა მთავრობამ მხოლოდ დღეს ბათომიდან „ოიაზრა". ის, რაც უნდა მომხდარიყო—უკვე მოხდა. მენშევიკების ბატონობას ბოლო მოეღო, მხოლოდ დაიღვარა ზედმეტი სისხლი მუშებისა და გლეხების, გაიფლანგა და განადგურდა ისედაც ეკონომიურად ღარიბ საქართველოს ქონება და სიმდიდრე, დაზინდა და დაფრთხა მშვიდობიანი მცხოვრებნი; და ეს იმიტომ, რომ მენშევიკების მეთაურებმა, ჯიუტობით და ქინიანობით, არ მოინდომეს მომხდარ ფაქტისათვის ანგარიში გაეწიათ, მისგან შესაფერი დასკვნ გამოეტანათ - დასკვნა თავისი ბატონობის აღსასრულისა და ახალი წესწყობილების დამკვიდრებისა—რაც მათთვის აუცილებელი იყო თუ კი კიდევ ქონდათ შერჩენილი თავისი ხალხის, სამშობლოს და მისი მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრესადმი რაიმე სიყვარული, რაიმე თანაგრძნობა; ჩვენ ასეთ რამეს არ მოვთხოვდით დენიკინს, ვრანგელს, კოლჩაკს, თუ გინდ პილსუდსკისაც, მაგრამ ნოე ჟორდანიას და ს. ჯიბლაძის მთავრობას ეს, გვეგონა მოეთხოვებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა; არ მოხდა თავის დროზე, როდესაც ბევრი რამის გადარჩენა—მათ შორის რამდენიმე ასეული საქართველოს და რუსეთის მშრომელთა სიცოცხლის— კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს". და ჩვენ მენშევიკების ამ დაგვიანებულ, მეტად გაუმართლებლად დაგვიანებულ, ნაბიჯს მაინც მივესალმებით, ჩვენთვის ეს დიდათ გასახარია. იმიტომ, მხოლოდ, რომ ამით შესაძლოა, ნაკლები სისხლი დაიღვაროს, ნაკლები მსხვერპლი იქნეს, უკვე ფაქტიურად დამთავრებულ და გადაწყვეტილ საქმეს, ნაკლები სიმდიდრე და ქონება, ხალხის მიერ შექმნ-

ნილი და ხალხის საკუთრება, განადგურდეს—განიავდეს. აი, ამიტომ ვეგებებით ჩვენ სიხარულით, ვიმეორებთ, ამ საკმაოდ დაგვიანებულს, მაგრამ დღესაც საჭირო და მნიშვნელოვან ნაბიჯს, აი ამიტომაც საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ, თავისი საპასუხო რადიო-დეპეშაში დიდი სიამოვნებით მიიღო გ. ლორთქიფანიძის წინადადება, სამხედრო მოქმედების შეწყვეტის და მოლაპარაკების დაწყების შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო და უფლებაც არ ქონდა ერთგვარ გარანტიის—რომ მენშევიკების წინადადების ზურგს უკან არ იმალება სხვა რამე მოსაზრება—ჩარჩოებში მოეთავსებია გრ. ლორთქიფანიძის წინადადება. საქართველოს მთავრობა თანხმობას აცხადებს შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება მენშევიკთა, ფაქტიურად უკვე არ არსებულ ძალების წინაამდეგ. 14 მარტის 12 საათიდან რევკომის ბრძანებით შეწყდება სამხედრო მოქმედებები ყველა ფრონტებზე. რევკომი თანახმაა დაიწყოს მათთან მოლაპარაკება ქ. თფილისში იმ პირობებში, თუ მენშევიკური ყოფილი მთავრობა საჯაროდ აღიარებს და იცნობს საქართველოს ახალ საბჭოთა მთავრობის ძალა-უფლებას მთელს საქართველოს ტერიტორიაზე, თუ თვითონ ისინი, რაც ლოღიკურად გამომდინარეობს, პირველ პირობიდან, გამოაცხადებენ საბჭოთა წესწყობილებას იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჯერ კიდევ უკავიათ მათ. მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლო საქართველოს ცენტრალურ რევკომს მიეღო მენშევიკების წინადადება მოლაპარაკების შესახებ—და თუ კი ამ წინადადებას სარჩულად უძევს სურვილი ხოცვა-ჟლეტის და ხალხის ქონების განადგურების შეწყვეტისა,—ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ასე არის,—და არა სხვა რაიმე ფარული ზრახვა, მაშინ მათ დაუყონებლივ და უყოყმანოდ უნდა ხორცი შეასხან თავის, საკმაოდ დაგვიანებულ, მაგრამ დღესაც ხალხისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვან წინადადებას—უმიზნო სისხლის ღვრის შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს თავის სიყვარულს საქართველოს ხალხისადმი, მის მიწა-წყლი-ადმი, თავის ლმობიერებას დამარცხებულ მოწინაამდეგესადმი; გრ. ლორთქიფანიძის მთავრობას ახლა შეძლება ეძლევა ერთხელ მაინც უარყოს, უკუაგდოს ჯიუტობა, მინისტრული თავმოყვარეობა.

ისტორიის წინაშე მენშევიკებს ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაგრამ ის დანაშაული, რომელიც მათ დააწვებათ კისერზე, თუ კი კიდევ განაგრძეს სისხლის ღვრა, ყველაზედ უფრო პასუხისმგები და მიუტევებელი იქნება. ჩვენ გვგონია, **რომ ამას ისინი არ ჩაიდენენ. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ თავის დაგვიანებულ წინ-გადადგმულ ნაბიჯს უკან არ წაიღებენ.**

ამ იმედით მოველით მათ პასუხს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ნემეცი კომუნისტები ჩეხო-სლოვაკიაში.

ნემეცური სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩეხო-სლოვაკიაში, უკვე 1919 წელს გამოვიდა მეორე ინტერნაციონალიდან. ეს მოხდა მისი მემარცხენე ფრთის ზეგავლენით. ამის შემდეგ პარტია მიისწრაფის შექმნას „2½" ინტერნაციონალი. კომუნისტური ფრთა ნემეცური სოც.-დემოკრატიული პარტიისა მუშაობდა ჩეხო-სლოვაკიის სოც. დემოკრატიულ (მემარცხენე) პარტიის ცეკასთან შეთანხმებით. ის ღებულობდა მონაწილეობას ყველა მის გამოსვლებში და მასთან ერთად ცდილობდა შეექმნა ბაზა მთელი ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატის გასაერთიანებლად III ინტერნაციონალის პლატფორმაზე. დეკემბერში, ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასის საერთო გაფიცვების დროს მომხდარმა ამბებმა, ნათლად დაანახვეს ნემეც ამხანაგებს, რომ მათი დარჩენა პარტიაში მენშევიკურ უმრავლესობასთან ერთად, შეუძლებელი იყო. უკვე ჩეხიის კომუნისტთა კონფერენციაზე, სადაც არკვევდენ დეკემბრის ამბებს, ჩვენ ვხედავთ ნემეც კომუნისტების წარმომადგენლებს. ამის შემდეგ რეიხენბერგში შეიკრიბა კონფერენცია ნემეც ამხანაგებისა, ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების მონაწილეობით იმ პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევათ, რომელიც შეიქმნა თეთრი ტერორის გამეფების გამო. ამ კონფერენციას დაესწრო 86 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ თითქმის ნახევარს მთელი ნემეცური შეკავშირებული პროლეტარიატისა. ნემეც კომუნისტების ლიდერმა **კრეიბიხმა** თავის მოხსენებაში, ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების წარმომადგენელთან ერთად აღიარა აუცილებლობა ჩეხო-სლოვაკიაში ერთი მთლიანი საერთო—ნაციონალური პარტიის დაარსებისა.

ამხ. **ნეირატმა** გააკეთა მოხსენება მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ჩეხო-სლოვაკიის ნემეცურმა პროლეტარიატმა გადასწყვიტა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი მენშევიკებთან და დაგვანახვა, რომ ის მზათ არის, მიიღოს მონაწილეობა ჩეხო-სლოვაკიაში ერთი მთლიანი საერთო ნაციონალური კომუნისტური პარტიის დაარსებაში.

მიღებული რეზოლიუცია ამბობს:

„კონფერენცია ყველა ნემეც სოც.-დემოკრატიული პარტიის იაჩეიკებისა, რომლებიც დგანან მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე, **სასტიკად გმობს იმ გამცემლობას, რომელიც ჩაიდინა პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ და პროფესიონალურ კავშირების ლიდერებმა, ჩეხიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის გაფიცვების დროს** და აღფრთოვანებით ესალმება რეიხენბერგის და ვოლოტავის ამხანაგებს, რომელთაც პირველათ გააღვიძეს ნემეცურ პროლეტარიატის გულში საერთაშორისო სოლიდარობის წმინდა გრძნობა.

ვთხოულობთ დაუყოვნებლივ მოწვევას პარტიის განსაკუთრებულ კონგრესისას, რომელმაც უნდა გამოარკვიოს პარტიის მიდრეკილება; უცვლელათ მიღებას მოსკოვის 21 პირობისა, დაუყოვნებლივ შესვლას 3 ინტერნაციონალში, ჩამოშორებულ ოპორტიუნიზმიდან, გახდომას მოქმედების პარტიათ, მონაწილეობის მიღებას ჩეხო-სლოვაკიის საერთო ნაციონალურ კომუნისტურ პარტიის შექმნაში, გაძევებას პარტიიდან ყველა მათი, ვინც გამცემლობისაკენ მოუწოდებდა და ამით საშუალების მიცემას ნემცურ რევოლიუციონურ პროლეტარიატისათვის პარტიაში დარჩენისათვის. უკანასკნელმა ამბებმა ნათლათ დაგვანახვა, რომ ყოველი კომპრომისი, რომელიც ჩვენ ხელს გვიშლის, რათა გავხდეთ კომუნისტურ ინტერნაციონალის სექციათ, არის გამცემლობა. მოუწოდებთ ყველა მუშებს იბრძოლონ ჩვენთან ერთად პარტიის სიეზდის მოწვევისათვის."—ნემეცურმა რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მენშევიკებისაგან პასუხი მალე მიიღეს. ჩეხო-სლოვაკიის ნემეცურ-სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცეკას ეშინოდა რა პარტიის განსაკუთრებული სიეზდის მოწვევის და ამასთან ერთად არ უნდოდა რა ხელიდან გაეშვა პარტიის ქონება, პარტიიდან გამორიცხა ამხ. კრეიბახი და ყველა რეიხენბერგის კონფერენციის მონაწილენი. ნემეც კომუნისტურ ახალგაზრდობამ ჩეხო-სლოვაკიაში უკვე გასულ წელს მიიმხრო ნემეც ახალგაზრდათა კავშირების დიდი უმრავლესობა და შეუერთდა ახალგაზრდა კომუნისტთა ინტერნაციონალს. ეხლა ის ცდილობს ჩეხიის ახალგაზრდა კომუნისტებთან ერთად შექმნას მთლიანი კომუნისტური კავშირი.

ნემეც უფროსმა ამხანაგებმა ვერ შესძლეს მიმხრობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა უმრავლესობისა, სამაგიეროთ მათთან კავშირი გასწყვიტეს მაშინვე; როგორც კი დაინახეს, რომ მათი გამყიდველი წინამძღოლები, ჩეხიის ჟანდარმებთან ერთად ხვრეტენ მის საუკეთესო წევრებს.
(„იზვესტია" № 31).

იაროსლავ ხალატ.

მოწოდება ყოფილ საქართველოს მთავრობის მიმართ

ს. ს. ს. რ. რევკომმა მიჰმართა რადიოთი საქართველოს ყოფილ მთავრობას შემდეგი მოწოდებით:

„ეხლა, როდესაც საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარებმა გადალახეს სურამის ქედი, მამისონის უღელტეხილი, სამურზაყანოს საზღვარი და უკვე მიუახლოვდენ ქუთაისს, თქვენს უკანასკნელ თავშესაფარს, აშკარა უნდა იყოს თქვენთვის, რომ თქვენი საქმე წაგებულია. ომის გაგრძელებას არა აქვს არავითარი მიზანი, ომის გაგრძელება დამღუპველია ხალხთა მასის, რომელთა ფიზიკურ არსებობას თითქოს იცავდით თქვენ. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც წინაამდეგია სისხლის ღვრისა, ხელმძღვანელობს რა ფართო ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესებით, წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ შეწყვიტოთ საომარი მოქმედება, ჩაგვაბაროთ ყოველივე სამხედრო იარაღი და ქონება, რომელიც მოხმარდება საქართველოს წითელ არმიას. იმას, ვინც დაყრის იარაღს და დაგვნებდება, ვაძლევთ ხელშეუხებლობის გარანტიას და წარსულს დავივიწყებთ. ვუცხადებთ ამნისტიას იმ პარტიებს და ჯგუფებს, რომელნიც სცნობენ გადატრიალებას და საბჭოთა წყობილებას საქართველოში. საკითხი ამ პარტიათა წარმომადგენლების შესვლისა რევოლიუციონურ მთავრობაში წარმოადგენს განსაკუთრებით საქმიან მოლაპარაკების საგანს საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი: თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**, რევკომის წევრები: **ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, დუმბაძე, გეგეჭკორი, თოდრია, კვირკველია, ელიხაბედაშვილი.**

8 მარტი, 1921 წ.
ქ. თბილისი.

მოლაპარაკება

თბილისი. ბათომიდან. რევკომს.

თქვენი რადიო მივიღეთ. პასუხად ჩემი მთავრობა წინადადებას გაძლევთ: 1) 14 მარტს 12 საათიდან ყველა ფრონტებზე შეჩერებულ იქნეს სამხედრო მოქმედება; 2) ჯარები რჩება თავიანთ პოზიციებზე; 3) დავიწყოთ მოლაპარაკება; ამისათვის დანიშნეთ დრო და ადგილი; ჩვენის მხრით ვასახელებთ ქუთაისს; დანიშნეთ რწმუნებულნი; ვიცდი აპარატთან. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძე.

ბათომი. ყოფილ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს—ლორთქიფანიძეს.

თბილისი. თქვენი რადიო მივიღეთ. სოციალისტური საბჭოთა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, რომელიც ცნობილია მთელ საქართველოში, ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ის დგას 25 თებერვალს გამოცხადებულ ამნისტიის საფუძველზე და, რომ, მიუხედავათ ათასობით ჩვენი ამხანაგების და, პოლიტიკასთან არავითარი საქმის არ მქონე ცოლების და შვილების თქვენ მიერ წაყვანისა,—მათი ბედი ჩვენ არ ვიცით—მიუხედავათ ამისა, დღემდის არც ერთ ყოფილ მთავრობის წარმომადგენლის, აგრეთვე არც ერთ დამფუძნებელ კრების და ჩვენ წინაამდეგ მებრძოლ პარტიების წევრის წინაამდეგ არავითარი რეპრესიები არ გვიხმარია.

საბჭოთა საქართველოს მთავრობა ომის კიდევ გაგრძელებას სთვლის უმიზნოთ, ქვეყნისთვის გამანადგურებლათ და დამღუპველათ და თან რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობისთვის საშიშრათ, და სიხარულით ღებულობს წინადადებას სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ჩვენ ბრძანებას ვაძლევთ სამხედრო მოქმედების შესაწყვეტათ 24 საათის განმავლობაში დღის 12 საათიდან 14 მარტს.

შემდეგი მოლაპარაკების გასაგრძელებლათ თანამშრომლობის შესახებ და სხვა აუცილებელ პირობათ ვთვლით თქვენს მიერ დაუყონებლივ ცნობას საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და, როგორც ლოღიკური დასკვნა აქედან საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას თქვენ სამყოფ რაიონებშიაც.

ამ პირობის შესრულების შემდეგ, ვიწვევთ თქვენს წარმომადგენლებს თბილისში შემდეგი მოლაპარაკებისათვის. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

11 მარტის ოპერატიული ცნობა.

10 მარტს № ბრიგადის ნაწილებმა ცხენოსანთა დახმარებით შემოუტიეს ჩრდილოეთიდან და 17 ს. დაიჭირეს ქ. ქუთაისი. მტერმა დაიხია რიონისა და სამტრედიისაკენ.

11 მარტს, მტერმა სადგ. ქუთაისის მიმართულებით გამოუშვა ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ იგი ცეცხლით უკუქცეულ იქნა და დაიხია სად. რიონისაკენ.

11 მარტს საღამოს ბელაგორის მხრით დაკავებულია სადგური ყვირილა და სვირი. მტრის დევნა გრძელდება.

11 მარტს იმ ნაწილებმა, რომელთაც აბასთუმანი ეჭირათ, დაიკავეს გოდერძის უღელტეხილი ბათომის მიმართულებით.

11 მარტს ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ახალ-სენაკი; ფოთისკენ სწრაფად მივდივართ. 10 მარტს დავიკავეთ სადგური ჭალადიდი. ნაწილი ჯარისა მიმართულია სადგ. სამტრედიისკენ. 10 მარტს საღამოთი ჩვენი ნაწილები იყვნენ 4 ვერსის მანძილზე სამტრედიიდან.

ჩვენმა ნაწილებმა გაილაშქრეს რა ქუთაისიდან სამტრედიისაკენ, დაიკავეს ფარცხანაყანევი. ბაღდადზე გალაშქრებული ჯგუფი 12 მარტს, საღამოს მიუახლოვდა სოფელ წიფას, რომელიც 10 ვერსის მანძილზეა ბაღდადიდან. სამხრეთ აღმოსავლეთით, დამატებითი ცნობებით მამისონის უღელტეხილიდან გამოლაშქრებულმა ჯგუფმა სოფ. მექვენას რაიონში ტყვედ ჩაიგდო გენერალი მიქაძე ქვეითა რაზმით, ორი ზარბაზანი, 2 ჯავშნიანი ავტომობილი და 4 ტყვიისმფრქვეველი.

სადგურ შორაპნის დაკავების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 22 ორთქმავალი და მრავალი ვაგონები ვიწრო ლიანდაგიან რკ. გზისა.

კომპარტიის მე-10 ყრილობა.

მოსკოვი, 10 მარტი. (რადიო). მარტის 9, დილის სხდომაზე იმსჯელეს ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების შესახებ. საღამოს სხდომაზე ხმის დიდი უმრავლესობით მიიღეს იაროსლავის კომიტეტის რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ც. კ. საგარეო და საშინაო პოლიტიკას. რეზოლიუციაშივე აღნიშნულია, რომ დისკუსიების დროს ც. კ.-ში არ იყო მტკიცე მთლიანობა და საჭირო არის ადგილობრივ ძალებზე დამყარება, რეზოლიუცია ერთხელ კიდევ ამტკიცებს რუსეთის პროლეტარიატის ერთსულოვნებას [illegible] სამეურნეო ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში. ლენინის მოხსენების შემდეგ ილაპარაკა კრესტინსკიმ, ც. კ. საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

კომუნისტები ფრონტზე.

პირველი და უმთავრესი სამუშაო,—სთქვა კრესტინსკიმ, რომელზედაც დაიხარჯა დიდი შრომა და ენერგია, იყო სამხედრო, საფრონტო სამუშაო, თუმცა მე-9 ყრილობიდან პარტია სამეურნეო აღმშენებლობის გზას დაადგა. მე-9 ყრილობის შემდეგ პარტიამ კომუნისტთა 6 მობილიზაცია მოახდინა დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის და სამხრეთის ფრონტების საჭიროებისათვის. ამას უნდა მიუმატოთ ამხანაგების ჯარის ზურგიდან ფრონტზე გადაგზავნა. მაშინ გამოვა, რომ [illegible], თვის განმავლობაში ფრონტზე გაგვიგზავნია 25,000 კომუნისტი.

ტრანსპორტის და სასურსათო საქმეში მუშაობა.

ტრანსპორტის აღდგენის სამუშაოსათვის გავგზავნეთ 6,000 კომუნისტი, რამაც ხელი შეუწყო ტრანსპორტის საქმის გაუმჯობესებას. მეორე ეკონომიურმა მობილიზაციამ, რომელიც გაატარა ჩვენმა პარტიამ, შეაგროვა ამხანაგები სასურსათო ასპარეზე მუშაობისათვის. ამ მობილიზაციამ თავისი რაოდენობით გადააჭარბა სამხედრო მობილიზაციებს, რაც იმით აიხსნება, რომ წელს სასურსათო საკითხი ძალიან გამწვავებული იყო, ცენტრალურ რუსეთის მრავალ ადგილას მოუსავლობის გამო დიდათ მოუსავლიან ადგილებში დაისვა გლეხთა გამოკვების საკითხი. რომ გამოგვეკვება წითელი არმია, ქალაქის მუშა ხალხი და დამშეული გლეხობა ამისათვის საჭირო შეიქნა სასურსათო კამპანიის უფრო მტკიცედ გატარება, ვიდრე წარსულ წელს მოხდა. ნარკომპროდს დასჭირდა მთელი სახელმწიფო აპარატის, მთელი პარტიის და პარტიულ ავტორიტეტის დახმარება.

დათესვის კამპანია.

დათესვის კომპანიის გასატარებლათ საჭირო შეიქნა ორი საკითხის გადაჭრა. პირველი, გლეხებისათვის სათესლეს მიწოდების საკითხი. საჭირო შეიქნა, ზოგიერთ გლეხების სათესლე, რომელთაც მეტი ქონდათ, ვიდრე საჭირო იყო, გადაგვენაწილებია იმათთვის, ვისაც სრულებით არ ჰქონდა სათესლე. მეორე საკითხი იყო დათესვის საქმის გეგმის შემუშავება. ამ მუშაობაში უნდა ჩაგვება თვით გლეხობა. უნდა დავემყარებოდით მას დარიგება—რჩევის მიცემით, აგრეთვე უნდა მიგვეწოდებია ტეხნიკური ძალა.

ც. კ. დადგენილებით საჭიროა, რომ ეს სამუშაო ისე იყოს დაყენებული, რომ პურის მოსავლიან გუბერნიებში მოდიოდეს თვითეულ თემზე არა ნაკლებ ორი კომუნისტისა. თუ ეს არ მოხდება, მაშინ კომუნისტური მუშაობა, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია გლეხთა რწმენასა და მათ შორის აგიტაციასთან, არ იქნება ჯეროვანათ გატარებული და ჩვენ არ შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ სათესი კომპანიის ნაყოფიერათ გატარებისა. შიდა გუბერნიების და ნაწილობრივ ზოგიერთ ამხანაგების ცენტრიდან მობილიზაციის საშუალებით საჭიროა მივსცეთ სათეს კამპანიას 18,000 კომუნისტი.

დონბასის კომუნისტები.

ეხლა ჩვენ ვაგროვებთ დონის აუზის ყოფილ მომუშავეთ, სამი წლის სამოქალაქო ომის განმავლობის დროს გაფანტულებს მთელს რუსეთში, რათა გავგზავნოთ ისინი დონის აუზში, სადაც მათ თავიანთ ნაცნობ მაღაროებში შეუძლიანთ მოიხმარონ თავისი გამოცდილება და ენერგია.

პარტიის გაჯანსაღება.

ც. კ. შემდეგ სამუშაოს წარმოადგენს ჩვენი პარტიის გაჯანსაღებისათვის ზომების მიღება ც. კ. შეუდგა იმ მიზეზთა გამოკვლევას, რომელთაც დასდეს უთანხმოებანი პარტიაში. ეს მიზეზები განხილულ იქნება ყრილობაზე.

საერთო პარტიული ბილეთი.

მიღებულ ცნობების თანახმად, ყველა გუბერნიებში შემოღებულია საერთო პარტიული ბილეთი, თვით შორეულ გუბერნიებშიაც კი. მისი შემოღების დროს მოხდა პარტიის ახალი რეგისტრაცია.

სხვა პარტიების შესვლა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში.

ჩვენი პარტია წარმოადგენს კვლავ მიმზიდველობის ცენტრს წვრილი პოლიტიკურ პარტიებისათვის, რომლებიც სთვლიდნენ თავიანთ თავს რევოლიუციონურათ, მაგრამ ამა თუ იმ პუნქტში არ გვეთანხმებოდნენ ჩვენ. დაბოლოს ეს პარტიები დარწმუნდნენ, რომ მათ შეეძლოთ შესვლა რ. კ. პ. შემადგენლობაში ან და ჩამოგვშორებოდნენ ჩვენ და ამოეყოთ თავი კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ჩვენ შევიერთეთ უკრაინული კომუნისტური პარტია (ბოროტბისტების), რომელიც საბოლოოთ... (გამოტოვებულია)... ჩვენ შევიერთეთ აგრეთვე რევოლიუციონური ჯგუფები მა-

ქსიმალისტების და უკრაინის მემარცხენე ესერების, სექტემბერში ჩვენ შემოგვიერთდნენ რევოლიუციონური კომუნისტები.

კლასობრივი წარმოშობა პასუხისმგებელ მუშაკთა.

გუბკომების მიერ წარმოდგენილ სიების მიხედვით, განაგრძობს კრესტინსკი, შეგვიძლიან გამოვიყვანოთ დასკვნა, ვისგან შესდგებიან ჩვენი პასუხისმგებელნი მუშაკნი. 25 გუბერნიაში 1 300 პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა შორის მუშები და გლეხები შეადგენენ 80°/o; სხვა სოციალურ მდგომარეობის პირნი კი 20°/o; ეს რიცხვები გვიჩვენებენ, რომ პროლეტარული ელემენტები სჭარბობს ჩვენს საგუბერნიო ორგანიზაციებში. მუშათა პროცენტი გაცილებით მეტია სამაზრო რაიონების ორგანიზაციებში.

უნივერსიტეტები

ვლაპარაკობთ რა... (გამოტოვებულია). მის განყოფილებებში და რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირში, კრესტინსკიმ მიუთითა სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის მუშაობაზედ. ეხლა არსდება უნივერსიტეტი აღმოსავლეთის ხალხთათვის, რომელიც დააკმაყოფილებს თურქესტანის რესპუბლიკის და აღმოსავლეთ ქვეყნის ამხანაგთა მოთხოვნილებებს.

პარტიული აპარატი მოწყობილია.

ჩვენს მუშაობას,—ათავებს კრესტინსკი,—ჰქონდა შეტევითი ხასიათი. კომუნისტურმა პარტიამ მაინც შესძლო შეტევითი სამხედრო და სამეურნეო მუშაობა და საგრძნობლათ ასწია ჩვენი საინსტრუქციო და საგიტაციო მუშაობა. შექმნილია პარტიული აპარატი, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვიმუშაოთ სრულის ტემპით. ც. კ. ახალ შემადგენლობას გაუადვილდება შემდეგი ნაბიჯები ჩვენი პარტიის მიზან-შეწონილ ხელმძღვანელობისათვის სრულიად რუსეთის მასშტაბით.

საკონტროლო კომისიის მოხსენება.

მოხსენება გააკეთა სოლცმა. საკონტროლო კომისია შექმნილ იქმნა მე-9 და მე-10 ყრილობების შუა. მან უნდა მიიღოს და განიხილოს ცალკე ჯგუფთა და პირთა საჩივარი. თავის 5 თვის მუშაობის დროს კომისიამ განიხილა 200 საქმე, რომელთაგან 50 გამოარკვია. საქმეები სხვა და სხვა გვარი იყო. იყო საჩივარი ადმინისტრატიულ თანამდებობის პარტიულ ამხანაგების არა სწორ მოქმედების შესახებ. ამ საჩივრებში უმეტეს ნაწილათ აღნიშნული იყო, რომ ბრალდებული ამხანაგები ჩამოშორდენ ფართო პარტიულ მასსას, იყო აგრეთვე ბრალდება ზოგ მუშების წინაალმდეგ, რომლებიც იწვევდნენ მათ უკმაყოფილებას მით, რომ მათ გამოიყენეს თავისი მდგომარეობა პირადი კმაყოფილებისათვის. ასეთი საქმეები ძალიან ცოტა იყო. საქმეების მთელ რიგს კომისია გზავნიდა განსახილველათ სათანადო ინსტანციებში. ჩვენ ვფიქრობთ,—განაგრძობს სოლცი,—რომ საკონტროლო აპარატმა თავის სამუშაოს გასაუმჯობესებლათ უნდა გაადიდოს თავის შემადგენლობა და უნდა მუშაობდეს ადგილობრივაც. საკანტროლო კომისიის წევრს არ შეუძლია იყოს იმავე დროს პარტიულ კომიტეტის წევრი და არც შეუძლია საპასუხისმგებლო თანამდებობის დაჭერა. მხოლოდ მაშინ მოეწყობა საკონტროლო კომისიის წესიერი მუშაობა.

პარტიის ყრილობის 11 მარტის სხდომამ მოანდომეს პარტიულ აღმშენებლობის საკითხის განხილვას. დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ბუხარინი, თანამომხსენებლათ გამოვიდნენ იგნატოვი, მაქსიმოვსკი და სმილგა. საღამოს სხდომამ მოანდომეს კამათს ბუხარინის მოხსენების შესახებ. გამოვიდა ორატორების მთელი რიგი, მათ რიცხვში ლოზოვსკი, რადეკი, იაკოვლევა, კისელევი და ვორაიკინი.

რაიონში, რომლის ცენტრად არჩეულია სადგური ალავერდი, დანიშნულია რევკომის თავმჯდომარის და სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის რწმუნებულად ამხ. საფრაზბეკოვი.

ფრიად საჭირო დახმარებიათვის ც. კ. ბიურო გთხოვთ გაგზავნოთ ამხ. ლაზიანი ფრონტის ადგილას მუშაობისთვის“. ც. კ. ბიუროს მდივნის მაგიერ ბიუროს წევრი ალასი, ბიუროს წევრი კარაკოსოვი.

საზღვარ-გარეთ

მოძრაობა იტალიაში.

პარიზი. გაზეთ „ესცელსიორ“-ის რომის თანამშრომლისგან მიღებულ ცნობების თანახმათ, სოციალისტთა და მათ მოწინაალმდეგეთა შორის შეტაკება მთელ იტალიაში ხდება. სირაკუზში, ქუჩაზე შეტაკების დროს მოკლულია 1, დაჭრილია 15 კაცამდე; პროვინცია—კრემონში დაჭრილია 6. მანტუაში დაჭრილია 12. მოძრაობა გადავიდა ვენეციის ოლქის, ანექსიით შემოერთებულ ნაწილში.

გერმანიის ვალდებულებანი.

ბერლინი. იმ ამბების გამო, რომელიც მოჰყვა ლონდონის კონფერენციას, საინტერესოა იმ დადგენილებების აღნიშვნა, რომელიც გამოიტანა პარიზის კონფერენციამ იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა გადაუხადოს გერმანიამ მოკავშირეებს. გერმანიის ვალი განსაზღვრული იყო 226 მილიარდი მარკით, რომელიც მას უნდა გადაეხადა შემდეგ ვადებში: 1921 წლიდან—1922 წლამდე ორ-ორი მილიარდი მარკა წელიწადში, 1923 წლიდან—1925 წლამდე—სამ-სამი მილიარდი, 1926 წლ. 1928 წლ.—ოთხ-ოთხი მილიარდი, 1929 წლ. 1931 წლ ხუთ-ხუთი მილიარდი, 1932 წლ. 1962 წ. ექვს-ექვსი მილიარდი, ამას გარდა გერმანიამ უნდა გადაიხოს 12°/o მთელი თავის ექსპორტისა, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოთა კანტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. გერმანიას ნება ეძლევა ვალი გადაიხადოს აღნიშნულ დროზე უფრო ადრეც. ამ შემთხვევაში პირველ ორ წელიწადში მას შეღავათი მიეცემა 7°/o-ით.

ინდოეთში მღელვარება იზრდება.

პარიზი. როგორც იტყობინება „ექსცელსიორის“ ლონდონელი თანამშრომელი, ინდოეთში აგრარული საკითხის გამო მღელვარება იზრდება. მთავრობა ჯარებს გზავნის იმ ადგილებში, სადაც უფრო ძლიერია არეულობა.

პარიზი. ჟურნალ „დე-დებას“ ცნობით, დუბლინში ინგლისის მთავრობის ცდა, დაეჭირა ამერიკიდან ჩუმათ დაბრუნებული ირლანდიის რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი დე ვალერა, უშედეგოთ რჩება. დუბლინში სისტემატიური ჩხრეკა სწარმოებს. ყოველ უბანს მავთულით ხლართავენ, ჯარის კაცებით გარს ეხვევიან და მერე ყველა საცხოვრებელ და არა საცხოვრებელ ბინას სჩხრეკენ. მიუხედავათ ამისა, დე ვალერა განაგრძობს ცხოვრებას დუბლინში და მთავრობა ვერ იჭერს. დიდი ხანი არ არის, რაც მან წერილობით მიმართა დუბლინის ლორდ-მერს: „ჩვენ, ირლანდელები, სწერს ის, როგორც ერთი დისციპლინარული ერი უნდა შევებრძოლოთ მათ, ვინც დაემუქრება ჩვენს არსებობას. ჩვენი პირველი მიზანია დავეხმაროთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც მტრის სიძულვილის მსხვერპლად იქცნენ.“ დასასრულს დე ვალერა გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას იმ პროექტის გამო, რომლის თანახმათ უნდა დაარსდეს თეთრი ჯვარი იმ მიზნით, რომ აღმოუჩინონ დახმარება ირლანდიაში უბედურების დროს ტანჯულთ.

საბჭოთა რუსეთში

სახურსათო მუშაობა უკრაინაში.

მოსკოვი, 8 მარტი. (რადიო) სრულიად უკრაინის საბჭოთა მე 5 ყრილობამ დაადგინა მოაწყოს გლეხთა ხუთ და ათ კომლიანი ორგანიზაცია სასურსათო დაბეგვრისა და ზედმეტ სურსათის გამოტანის მიზნით. შაქრის მრეწველობის შესახებ ყრილობამ დაადგინა მოუწოდოს ყველა შაქრის წარმოებაში მომუშავე მუშა გლეხებს, რათა მათ მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარონ ჭარხლის კამპანიის სასურველად ჩატარებას. შაქრის მრეწველობა უნდა გადიქცეს უკრაინის მეურნეობის მაგალითად.

მუშა ქალების საერთაშორისო დღე

მოსკოვი, 11 მარტი, (რადიო) მოსკოვის მუშა ქალები, რომლებიც მუშა ქალთა საერთაშორისო დღეს შეგროვდნენ დიდ თეატრში მრავალრიცხოვან მიტინგზე, მოწოდებით მიმართეს საბჭოთა რუსეთის და სხვა სახელმწიფოების მუშა ქალებს, სადაც ამბობენ: „გაუმარჯოს კომუნიზმს—აი ჩვენი ლოზუნგი“. მხოლოდ ახალ კომუნისტურ დასაბამით შექმნილ სახალხო მდგომარეობას შეუძლია გაუმკლავდეს მსოფლიო კრიზისს, უმუშევრობას, სიმშილს, ბინის საჭიროებას, ბავშვთა ხშირ სიკვდილს, პროსტიტუციის საზღაპრო ზრდას და ყველა უბედურებას, რომელიც ტანჯავს პროლეტარ ქალს.

მოგიწოდებთ თქვენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მუშა ქალებო, შეკავშირდეთ: მედგრათ დადგეთ კომუნისტურ წითელ დროშის ქვეშ და ჩვენთან ერთად აშკარა ბრძოლა დაიწყეთ თეთრ გვარდიელებთან, მუქთა ხორებთან, კაპიტალის აგენტებთან, ესერებთან და მენშევიკებთან.

რას მოელის გლეხი საბჭოთა მეურნეობისაგან.

მოსკოვი, 11 მარტი. (რადიო) საბჭოთა მეურნეობამ აღზარდა და გამოკვება მშრომელი გლეხობა. საბჭოთა მეურნეობის სიმდიდრე შექმნა არა მემამულეებმა, არამედ სოფლის ბოგანოების ხელებმა. საბჭოთა მეურნეობამ უნდა გამოიყენოს თავის სიმდიდრე მთელ გლეხობის მეურნეობის საკეთილდღეოთ. საბჭოთა მეურნეობის ყველა იარაღი და მანქანა უნდა ემსახურებოდეს გლეხების მოთხოვნილებას. საბჭოთა მეურნეობის კარები ყოველთვის ღია უნდა იყოს გლეხთა ინვენტარის შეკეთებისათვის. მან უნდა გამოიყენოს თავის პირადი ძალა გლეხთა მინდვრების დასათესად და უნდა იყოს მაგალითად გლეხთა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესობისა. საბჭოთა მეურნეობის ჯიშიან საქონლის სისხლით უნდა განახლდეს, გლეხთა დაწვრილებული საქონელი. საბჭოთა მეურნეობის მუშებს, გახსოვდეთ, რომ თქვენ ხელში არის საკვები გლეხთა მეურნეობისა.

პეტროგრადი, 12 მარტი. (რადიო) დღეს პეტროგრადის გაზეთები უძღვნიან წერილებს და მიმოხილვათა მთელ რიგს თებერვლის რევოლიუციის წლის თავს. რუსეთის მუშები უქმობენ ამ წლის თავს მიტომ, რომ მასში ხედავენ ოქტომბრის დიდი აჯანყების პირველ საფეხურს, როდესაც მათ დაამხვეს მეპატრონეთა უფლებანი და თვითონ დაიწყეს თავიანთ ბედის გამოჭედა. მხოლოდ თვითმპყრობელ გველეშაპის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ შესძლეს მუშებმა მოეკრიბათ მთელი ძალღონე თავიანთ კლასის ძირითად საკითხების გადასაწყვეტათ.

საბჭოთა სომხეთში.

საქართველოს რევკომმა მიიღო სომხეთის კომპარტიის ც. კ.—საგან შემდეგი ტელეგრამა: 4 მარტიდან დაიწყო მოქმედება სომხეთის კომპარტიის ც. კ.—ს ბიურომ. ბიუროში შედიან ც. კ.—ს წევრები: ალიხანოვი, მრავიანი, ხაჩევი, ლაზარევი და ალასი. დივიზიის სამხედრო კომისარი პოლიანსკი; კოოპტაციის წესით კირაკოზოვი. ბიურო წარმოადგენს დაშნაკელებისაგან თავისუფალ სომხეთის ტერიტო-

ნოს. ც. კ.—ს ბიუროს დადგენილებით, დაარსდა შემდეგი შემადგენლობა რევოლიუციონურ სამხედრო კომისარიატის კომიტეტისა: ატარბეკოვი, ალიხანოვი, კორომ, ხაჩევი, კირაკოზოვი, მრავიანი და დივიზიის სამხედრო კომისარი პოლიანსკი. სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმში: ატარბეგოვი, კარაკოსოვი და ტარიანი. სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტმა გადადგა ნაბიჯი რევოლიუციო-

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის სოვნარკომის შემადგენლობა.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. მარტის 6-ს დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობა:

1) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და მიწად მოქმედების სახალხო კომისარი—ფილიპე მახარაძე.

2) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი—მამია ორახელაშვილი.

3) სამხედრო და საზღვაო საქმეთა და გარეშე ვაჭრობის (დროებით) სახალხო კომისარი—შალვა ელიავა.

4) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ბესარიონ კვირკველია.

5) შრომისა და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი—ლადო დუმბაძე.

6) მუშათა და გლეხთა ინსპექციის (სახელმწიფოს კონტროლისა სახალხო კომისარი—გიორგი ელისაბედაშვილი.

7) იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარი—ამაიაკ ნაზარეტიანი.

8) ჯანმრთელობის სახალხო კომისარი კუჩაიძე (მის მოადგილეთ ექიმი კიკალეიშვილი).

9) განათლების სახალხო კომისარი ალ. სვანიძე. (მის აქ არ ყოფნის გამო, მისი მოვალეობის ასრულება დროებით ევალება ამხ. ორახელაშვილს).

10) სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი ად. დუნტაუ.

ბრძანება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტისა.

თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლ. მარტის 6-ს დადგენილებისა, კონტრ-რევოლიუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულიაციასთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნული არის ამხ. კონ-

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. **მახარაძე,** მდივანი—გაბრიჩიძე.

1921 წ. მარტის 8 ქ. თბილისი, სასახლე.

ბრძანება № 13

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ნაწილებისა შტაბის უფროსად ინიშნება ამხ. გაბაშვილი, ალექსანდრე გიორგის-ძე.

რესპუბლიკის ყველა თანამდებობის პირთ და დაწესებულებათ ევალებათ ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ სამხედრო სახალხო კომისარიატის საჩქაროდ მოწყობის საქმეს.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს ევალება, მოკლე დროში წარმოუდგინოს საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად საქართველოს წითელი ლაშქრისა და სათანადო სამხედრო დაწესებულებათა მოწყობის გეგმა.

საქართველოს რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. **მახარაძე,** სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი—**შ. ელიავა,** რევკომის მდივანი—**შ. გაბრიჩიძე.**

სახელმწიფო ენა საქართველოში

რევკომის ბრძანება.

მიუხედავათ რევკომის არა ერთხელ გამოცემულ ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკათ აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ. თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნულ ბრძანების წინააღმდეგ, იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთ დაწესებულებიდან. რევკომმა ერთხელ კიდევ—ბრძანებს [illegible]

ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნათ ისახავს, სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომელნიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციულ მოქმედებისთვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

შრომის კომისარიატის ბრძანება № 1.

1921 წ. 14 მარტიდან.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის დადგენილების თანახმად შესახებ ჩემი დანიშვნისა შრომის სახალხო კომისრათ,—მე შევუდექი ჩემი მოვალეობათა აღსრულებას.

შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.

შრომის კომისარიატის ბრძანება № 2.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის დადგენილებით შრომის სამინისტროს ამიერიდან ეწოდება შრომის სახალხო კომისარიატი.

— ყოფილ შრომის სამინისტროს ყველა მოსამსახურეთ წინადადება ეძლევათ თავის ადგილებზე დარჩნენ.

შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

ბრძანება № 1.

საქართველოს რევკომის დადგენილების თანახმათ მე ამ რიცხვიდან შევუდექი სოციალიურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მოვალეობათა აღსრულებას.

ბრძანება № 2.

ყველა ქ. თფილისის თავშესაფარ სახლებს (თავშესაფარებს, უძლურთა სახლებს, ობოლთა სახლებს და ბავშვთა სახლებს და სხვა) ყოფილ სამთავრო, საქალაქო და საზოგადო დაწესებულებებისა, წინადადებას ვაძლევ 3 დღის განმავლობაში სოციალურ სახალხო კომისარიატში აღნუსხონ (ალექსანდროვის ქ., № 42), თავშესაფართა რაოდენობის, მოსამსახურეთა შტატის, სალაროში შენახულ ფულის რაოდენობის და სათადარიგო ქონების შესახებ ცნობათა წარმოდგენით.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

პასუხისმგებელ კომუნისტების კრება

ხუთშაბათს, 10 მარტს, ქალაქის ყოფილ სამმართველოს შენობაში შესდგა პასუხისმგებელ კომუნისტ-მუშაკების კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. **ლ. დუმბაძე.**

მომხსენებლად გამოვიდნენ ამხ. ფ. მახარაძე და შ. ელიავა.

კრების მიზანი იყო გაეცნოთ მოწინავე ამხანაგებისათვის ის უჩვეულო მდგომარეობა და მეტად საპასუხისმგებლო მომენტი, რომელიც ახლად აღორძინებული საბჭოთა საქართველოს შინაურ-ეკონომიურ და გარეშე-პოლიტიკურ პირობებით არის შექმნილი.

ყოველი შეგნებული კომუნისტი, წევრი ამ კრების,—გრძნობდა, რა თქმა უნდა, რომ სახუმარო საქმის წინაშე არ ვიდექით; საბჭოთა რესპუბლიკის შექმნით უმძიმესი ტვირთი მოვიკიდეთ ზურგზე; ყველას აფიქრებდა, აჩერებდა ის ერთი გარემოება, რომ საქართველო, საბჭოთა დამოუკიდებელი საქართველო რომელშიაც მან უნდა მოუხდეს აღმშენებლობითი მუშაობა, თავისებური ქვეყანაა და თავისებურ [illegible] მოითხოვს. აქ არის წვრილი ბურჟუაზია, წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია... ისტორიულმა აუცილებლობამ დაგვაყენა გარდაქმნა—განახლების წინაშე,—მშრომელი ხალხის კლასობრივი მთავრობა გახდა ფაქტი; და აქ კომუნისტური პარტია, როგორც მასიური მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი, მისი რა-

სებობის დარაჯი,—ვალდებულია გამონახოს მათთან საერთო ენა, დაიახლოვოს, ჩააბას შემოქმედ-აღმშენებლობითი მუშაობაში, შეათვისოს, დაარწმუნოს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში, რომ კომუნისტური პარტიის წიაღში დაბადებული საბჭოთა მთავრობა დამცველია მხოლოდ და მხოლოდ დაბეჩავებულ ხალხის, რომ იგი ამრთელებს, ინახავს კაპიტალიზმის მიერ დაქუცმაცებულ დანაწილებულ ერის სხეულს.

აი, საქართველოს ამ თავისებურობიდან გამოდიოდა თანამედროვე ქვეყნის უბრძნესი მასწავლებელი ამხანაგი ლენინი, როცა იგი საქართველოს კომუნისტებს ურჩევდა—არ გაიმეორონ რუსეთის, „შაბლონი“, მის აღმშენებლობითი მუშაობას არ მიუდგენ შაბლონიური არშინით.

ამხ. ფ. მახარაძის და შ. ელიავას მოხსენებაც ამ მხრივ ერთი მეორის დამატება იყო; ორივე ერთი პრინციპიდან და პოლიტიკური მოსაზრებიდან გამოდიოდენ; თავიანთ დაფიქრებულ, ფრთხილ მოხსენებებში მათ გაატარეს ზემოთ ნახსენები აზრები, შეეხენ ზემოთ აღძრულ კითხვებს.

კომუნისტური პარტია და მის წიაღში დაბადებული საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, მისი შინაური თავისებურება და გარეშე პირობები, კომუნისტური პარტიის ამოცანები, მის აღმშენებლობითი მუშაობის პროცესში,—აი ეს კითხვები.

მათ შეეხენ ვრცლად კაპიტალიზმის აუცილებელ კრახს და პროლეტარიატის და მის მოსისხლე მტრის—ბურჟუაზიის ბრძოლას: გააშუქეს საბჭოთა რუსეთის აწმყო და მისი პერსპექტივები; აქ მათ ნათლად დაანახვეს ამხანაგებს ის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომელთაც მენშ. საქართ. ბურჟუაზიული საბჭოთა რესპუბლიკათ ქცევა აუცილებელი გახადეს; ხოლო ახლა კი,—დაასრულეს მათ,—საქართველოს კომუნისტურ პარტიას ეკისრება ენერგიის დაუზოგავათ, ფრთხილი მიდგომით, აღდგენილ პარტიის სასტიკ სამხედრო დისციპლინის ქვეშ შეუდგეს ჩვენთვის ახლო, უჩვეულო აღმშენებლობით სახელმწიფოებრივ მუშაობას; ხოლო აქ ამ მუშაობა-კეთებაში, ყველა პატიოსანი მშრომელნი—რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი,—ვეცადოთ შემოვიკრიბოთ გარშემო, ვეცადოთ დაუმტკიცოთ საქმით, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის მათი საქმეც, მათი საკუთარი ინტერესების გამოხატულებაც.

მოხსენებების დასრულების შემდეგ მისასალმებელი, მოკლე მაგრამ შინაარსიანი და ლამაზი სიტყვით გამოვიდა ჩვენი სახელოვანი ამხანაგი ს. ორჯონიკიძე, რომელსაც ამხანაგები ხანგრძლივ ტაშის ცემით შეხვდენ. მოხსენების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და რეზოლიუციის გამომუშავება გადიდვა შემდეგ კრებისათვის.

სევასტი.

ქრონიკა

თბილისის რევკომის დადგენილებით ამხ. ვასილ ამბაკოს ძე თათეიშვილი დანიშნულია მილიციის უფროსის მოადგილედ მიმდინარე მარტის 10-დან.

◆ **საგიტაციო განყოფილების განცხადება.** კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო განყოფილებამ მიმართა ყველა ორგანიზაციებს, დაწესებულებებს წარმოებათ და რაიონებს თხოვნით, მიაწოდონ ხოლმე მას ცნობები ყველა კრებისა და მიტინგების შესახებ, 24 საათით ადრე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებულ საგიტაციო განყოფილებაში (მიხაილოვის ქუჩა № 96). იქვე უნდა მიმართონ მომხსენებლებისა, ლექტორებისა და ორატორების მოსაწვევად.

◆ **სასადილოების ორგანიზაცია.** პროფესიონალურ კავშირების მოქმედების აღდგენის დროებითი კომიტეტი შეუდგა სასადილოების ორგანიზაციას. სადილები იქნება ფასით. აღძრულია აგრეთვე კითხვა საჩაიების ორგანიზაციის მოწყობაზე.

◆ **შაბი წყალსადენისთვის.** ქალაქის წყალსადენის დირექტორმა ინჟენერმა დიასამიძემ მიმართა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თხოვნით გადაეცეს წყალსადენს 2000 ფუთი შაბი, რომელიც შეუკვეთა ყოფილმა თფილისის ქალაქის გამგეობამ კუპერმანის ქარხანას განჯაში. ეს შაბი აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს აქვს აღწერილი. შაბი წყლის დასაწმენდით ამ ჟამად მეტად საჭიროა, რადგანაც წყალსადენის აუზებში შედის მტკვრიდან მღვრიე წყალი.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის მე-2 რაიონის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა მიესალმოს საქართველოს რევკომს, წითელ არმიას, და კომპარტიის ც. კ—ს. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლაში დაღუპულთ. რაიონის საბჭომ დაადგინა გაგზავნოს თფილისის რევკომში ამხანაგები—საბაშვილი და ერნესკი. რაიონის რევკომში არჩეულ არიან ამხ. ზურაბიშვილი, სემინიჩენკო და ქავთარაძე. 8 მარტს, მე-3 რაიონში მოხდა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა შემდეგი მოხსენებანი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და 2) პარტიულ მუშაობის მიზნები. დასასრულ მიღებულ იქმნა რეზოლიუციები საერთაშორისო რევოლიუციის მეთაურებისადმი მისალმების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

პარასკევს, 11 მარტს, შესდგა სასახლის დაბალ მუშა მოსამსახურეთა კრება. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯინჭარაძემ, რომელმაც მოუწოდა ამხანაგებს მხარში ამოუდგნენ მათივე ინტერესების დამცველ ს. ს. რ. მუშურ-გლეხურ მთავრობას და მთელი თავისი ძალღონით დახმარება გაუწიონ მათთვის მეტად მძიმე და პასუხსაგებ საქმეში.

შემდეგ ამისა მოხდა დაბალ მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ლარიბოვი, ვაშაძე, თარგამაძე ალექსანდრე გოგიჩაიშვილი და დვალი; მათ კანდიდატებათ: კობახიძე და თარგამაძე იონა.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ბარბაქაძე ბეგიჩანოვი და ფირუმოვი. კომიტეტს კრებამ დაავალა სასახლის დაბალ მუშა-მოსამსახურეთათვის, როგორც ეკონომიური საკითხის მოწესრიგება, ისე სულიერ საზრდოს მიწოდება და სხვა.

დაბოლოს მომენტის შესახებ კრების მიერ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ჯინჭარაძის მოხსენება მომენტის შესახებ, სასახლის დაბალ მუშა მოსამსახურეთა კრება მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას და სულით და გულით უსურვებს მას მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ ნაყოფიერ მუშაობას.

თავის მხრივ ზემოხსენებული კრება ფიცსა სდებს ს. ს. რ. მთავრობის წინაშე, რომ მთელი ჩვენი ენერგია და მოქმედება მიმართული იქნება ჩვენი მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად და ჩვენივე ძალა-უფლების, მუშათა საბჭოების გასამაგრებლად.

გაუმარჯოს ჩაგრულთა ინტერესების დამცველ ს. ს. რ. მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს III ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

კრების თავმჯდომარე: **ლარიბოვი.**

მდივანი: **ა. თ—ძე.**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევკომს.

თბილისის ქალაქის პირველ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა სახელით, ამავე საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა კავშირის საბჭო გილოცავთ საქართველოს მშრომელი ხალხის და პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვებას. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს რევკომი, რევოლიუციის ალში გამოწრთობილი, სახელოვნათ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, საქართველოს მშრომელი ხალხის და პროლეტარიატის ინტერესების დაცვას. და ჩვენ მშრომელნი მასთან ერთად ხელი-ხელჩაკიდებულნი ვივლით იმ გზაზე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს შრომის სამეფოში.

გაუმარჯოს მშრომელთა კავშირის ბურჯს—მესამე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **გად. სამსონაძე.**

მისალმებანი

სალამი ახალციხის რევკომისაგან.

ახალციხის რევკომის თავმჯდომარის ზარიანის და ამავე რევკომის მდივნის ჯაფარიძის ხელის მოწერით საქართველოს რევკომის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ახალციხის რევკომი მიესალმება თავისუფალ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას და იმედს გამოსთქვამს მის აღორძინებისა და გაფურჩქვნისას. ახალციხის მაზრა განუყოფელი ნაწილია საბჭოთა საქართველოსი. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს, გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს.

მისალმება საბჭოთა საქართველოს.

ვოენკომის შტაბის სახელზე ყაზახიდან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: საბჭოთა სომხეთის წითელი არმია, ღრმად დარწმუნებული თავის ბრწყინვალე გამარჯვებეში მოღალატე დაშნაკელებზე, უგზავნის კომუნისტურ სალამს წითელ აჯანყებულებს, რომლებმაც მენშევიკების ყვითელ სამეფოში აღმართეს კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშა. საზიზღარი ცილისწამება დაშნაკურ რადიოსი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ დაშნაკური პოლიტიკა სრული მარცხით დამთავრდება. მთელი რიგი ბრწყინვალე ომების, 25 თებერვლიდან 3 მარტამდე, რომელსაც ეწეოდა სომხეთის მუშებისა და გლეხების წითელი არმია, შევსებული დაშნაკურ მთავრობისგან გამოქცეულ ჯარებით,—ამის აშკარა და მასაბუთებელია. წითელი არმიის ყველა ჯარისკაცი ღრმად დარწმუნებულია საბჭოთა მთავრობის გამარჯვებაში. გაუმარჯოს კავკასიის ფრონტის ღირსეულ ხელმძღვანელს—რევოენსოვეტს.

მისალმება საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

ჩვენ, ქართველი ლაშქრის ჯარისკაცები და გვარდიელები, ქალაქის პირველ საავათმყოფოისა, მოგესალმებით, თქვენ, საქართველოს საბჭოთა მთავრობას, გამოვთქვამთ თქვენდამი სრულ თანაგრძნობას და აღფრთოვანებას; პირველ ჩვენ შეძლებისთანავე შეუდგებით თქვენთან ერთათ მუშაობას.

აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არასოდეს არ მოგვსვლია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ გაბოროტ ბულმა მენშევიკურმა მთავრობამ სხვადასხვა პროვოკაციული ხმების ჩაძახებით გვაიძულა გვემოქმედა ასე.

ეხლა კი შემოსულმა წითელმა არმიამ, მოახდინა ჩვენზე ასეთი მოულოდნელი და თან სასიხარულო შთაბეჭდილება; საქართველოს საბჭოთა მთავრ ბისაგან ჩვენ გვესმის მხოლოდ ამინისტია, ლმობიერება და კეთილშობილება და არა ის, რასაც ჩაგვძახოდა ბურჟუაზიული მენშევიკები; გატაცებით მოგესალმებით თქვენ და გისურვებთ რაც შეიძლება მალე საქართველოს ყველა კუთხეებში საბჭოთა წყობილების განმტკიცებას, რათა საქართველოს გაჭირვებულ მუშებს დროზე მოევლინოს თქვენი დახმარება და ამით გვიხსნათ ყველა მუშები გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს გმირ სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს გაერთიანებულ საბჭოთა საქართველოს!

ქალაქის პირველ საავათმყოფოს დაჭრილ ამხანაგების მინდობილობით ჯარისკაცი შალვა იაშვილი. გვარდიელი ა. ხიჭინავა.

ქ. თელავი. წითელ არმიის გარნიზონის კომუნისტთა და ადგილობრივ კომპარტიის შეერთებული კრება, თებერვლის რევოლიუციის შესრულებულ ოთხი წლის თავის აღსანიშნავათ, კომუნისტურ სალამს უძღვნის საქართველოს პროლეტარიატის დაუღალავ ბელადებს, მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას!

გაუმარჯოს მე 3-ე ინტერნაციონალს!

თბილისი. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

პროლეტარულ სალამს გიძღვნით და თქვენთან ერთათ ვიზიარებთ სიხარულს, რომ საქართველოში შემუანათა ბრწყინვალე მზემ პროლეტარიატის განთავისუფლებისა. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს მუშა მშრომელთა სასარგებლოდ. ხუთ მარტს ხაშურში ძალა-უფლება გადავიდა მუშა მშრომელთა ხელში. ექვს მარტს მოეწყო ხაშურის რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიაც შედიან მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრნი. რაიონში სიმშვიდეა, მოქალაქენი დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ [illegible] გადატრიალებას. რაიონში ყველგან [illegible] რევკომები. მოველით თქვენგან დირექტივებს.

ხაშურის რევკომის თავმჯდომარე **გოგოლ ძე.**

ფოსტა

იაშვილს და ხიჭინავას. თქვენი მისალმება მივიღეთ მხოლოდ 13 მარტს, ამიტომ მისი მოთავსება დაგვიანდა.

საქართ. კომ. პარტიის თფილისის კომიტეტს და მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულად მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

ბრძანება № 1.

უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისიისა.

იმ მიზნით, რომ ნამდვილად იქმნეს აღრიცხული უმუშევარ პირთა რაოდენობა ქალაქ თბილისში, უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისია ამით წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ე. ი. პროფესიონალურ კავშირებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ უმუშევარ პირთა აღრიცხვას, სამი დღის განმავლობაში მოახდინონ უმუშევართა სრული და ნამდვილი აღრიცხვა ქ. თფილისის შრომის ბირჟაში.

ბრძანება შედის ძალაში დღიდან მის გამოცხადებისა.

უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე მიქაძე.

ბრძანება № 2.

უმუშევართა სალიკვიდაციო კომისიისაგან.

ამით წინადადება ეძლევა ქალაქ თფილისის შრომის ბირჟას სამი დღის ვადაში წარმოადგინოს ნამდვილი ცნობები უმუშევართა რაოდენობისა, აღნიშვნით: 1) პროფესია და სპეციალობა, 2) გამოცდილება—(სტაჟი), 3) ადგილი უკანასკნელი დროის სამსახურისა, 4) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, 5) რამდენი ხანია სცხოვრობს საქართველოში და 6) სურს თუ არა საქართველოდან გასვლა.

ბრძანება შედის ძალაში დღიდან გამოცხადებისა.

უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე მიქაძე.

განცხადებანი

საბჭოთა საქართველოს რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს საქონლის მიმღებთა საყურადღებოდ, რომ, ვინაიდან რკინის გზის სადგურების საწყობები საქონლით გავსებულია, ამა წლის 15 მარტიდან გასაფუჭებილ და იაფფასიან საქონლის სადგურზედ შენახვის ვადა, რომლის ნუსხა მოთავსებულია წესდების მეორმოცე მუხლში, შემოკლებულია 3 დღემდე, ხოლო დანარჩენ საქონლისთვის 7 დღემდე, რომელ დროის გასვლის შემდეგ საქონელი გადაეცემა სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ამისათვის რკინის გზის სამმართველო სთხოვს საქონლის მიმღებთ თავის დროზე გაიტანონ სადგურებიდან მოსული საქონლები.

ახალ. კომ. კავშირი სამშაბათს 15 მარტს „ნაძალადევის“

შენობაში ამხ. იაშა წაიკითხავს მოხსენებას პროლეტარული ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობაზე.

საზოგადო კრება.

ღვინის სარდაფების, კონიაკის, არაყის, ლუდისა და ლიმონათის ქარხნებში მომუშავეთა სექციის („სურსათზე“ მომუშავეთა კავშირისა) საზოგადო კრება შესდგება 15 მარტს, ხუთშაბათს, დღის 4 საათზე, შრომის ბიუროს შენობაში (მადათოვის ქ. № 11). ვინაიდან კრება მოწვეულია მეორედ, ამისათვის კანონიერად ჩაითვლება, წევრების რაოდენობის მიუხედავად.

დღის წესრიგი:

1) გამგეობის არჩევნები და მიმდინარე კითხვები.

გამგეობა.

სამშაბათს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

მე-4 ხე რაიონის საბჭოს კრება. ის ამხანაგები, რომელნიც არ დაესწრებიან კრებას, გამოცხადებულ იქნებიან პ-ესაში.

მ-4-ხე რაიონის ბიურო.

ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ბოროტ-გამზრახველი პირები ავრცელებენ პროვოკაციულ ცნობებს

იმის შესახებ, ვითომც საჭიროა მაღაზიების და სავაჭრო სახლების ქართულ წარწერების წაშლა.

ვაცხადებ, რომ ვინც შემდეგში შემჩნეული იქნება,

როგორც ხსენებულ პროვოკაციის გავრცელებაში აგრეთვე ქართულ წარწერების წაშლაში, მიეცემა პასუხისგებაში და გასამართლებული იქნება სასტიკათ სამხედრო რევოლიუციონურ დროის კანონების თანახმად.

თბილისის ქალაქის მუშურ-გლეხური მილიციის უფროსი **მ. ჩხეიძე.**

გ. ზ. „კომუნისტი“-ს

მიღება შეიძლება ბრუკავროსაში ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).

5000 სტამბა, კომუნისტის ქ. № 4